

პროექტი PRINTeL

ინოვაციურ პედაგოგიკასთან დაკავშირებული სერტიფიცირებული ტრენინგი

„აქტიური სწავლა და სწავლება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით: სწავლა მობილური მოწყობილობების გამოყენებით და გეიმიფიკაცია“

2019 წლის 4-9 მარტს, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ERASMUS+ PRINTeL პროგრამის პროექტის ფარგლებში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრში ჩატარდა პედაგოგთა გადამზადების საუნივერსიტეტო კურსი „აქტიური სწავლა და სწავლება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით: მობილური მოწყობილობების გამოყენება და გეიმიფიკაცია“.

ტრენინგ-კურსს უძღვებოდა სტუ-ს ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ასოც. პროფ. თამარ ლოლაძე, რომელმაც მონაწილეობა მიიღო და გაიარა შესაბამისი გადამზადება 2018 წლის დეკემბერში პროექტის პარტნიორ ბარსელონას უნივერსიტეტში ჩატარებულ ტრენერთა ტრენინგის (TOT) კურსებში „აქტიური სწავლა და სწავლება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით: მობილური მოწყობილობების გამოყენება და გეიმიფიკაცია“.



აქტიური სწავლების სტრატეგიისა და თანამედროვე სწავლებაში მისი უპირატესობების გაცნობა


ხუთდღიან ტრენინგს ესწრებოდა: პირველ დღეს 63, მეორე და მესამე დღეს 62, მეოთხე და მეხუთე დღეს 44 მონაწილე. ხუთდღიანი ტრენინგის ყველა დღეს დაესწრო 43 ლექტორი სტუ-ს 3 ფაკულტეტის 7 სხვადასხვა დეპარტამენტიდან (ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი, საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი) და ერთი ლექტორი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან.



ონლაინ გამოკითხვის აპლიკაციების განხილვა

ტრენინგი მიზნად ისახავდა ინოვაციური პედაგოგიკის ელემენტების პოპულარიზაციასა და განვითარებას სტუ-ში.

მოცემული კურსი დაფუძნებული იყო დისკუსიაზე და მოიცავდა ლექციებს და სემინარებს, ასევე, ინდივიდუალურ და ჯგუფურ მუშაობას. კურსი პრაქტიკული ხასიათის იყო, აყენებდა რა მონაწილეებს მოსწავლეთა როლში, რათა შემდეგ მათ შეძლებოდათ სწავლების მეთოდების უკეთ გააზრება.



მონაწილეები ქმნიან ონლაინ ქვიზებს და ტესტებს Slido and Poll everywhere აპლიკაციების გამოყენებით

ტრენინგის მონაწილეები გაეცნენ პედაგოგებისთვის წაყენებულ ციფრული კომპეტენციების მოთხოვნებს და სწავლისა და სწავლებისათვის გამოყენებულ სხვადასხვა სახის ინსტრუმენტებს: Slido, Poll everywhere, ისწავლეს QR კოდების შექმნა და მათი გამოყენება სხვადასხვა დავალებებისათვის, ბეიჯების და პოსტერების ონლაინ დამზადება. მათ შექმნეს საკუთარი სასწავლო კურსების გეიმიფიცირებული ლექციები.



გეიმიფიცირებული სალექციო კურსების მომზადება

ტრენინგის მსვლელობისას მონაწილეებმა შეიმუშავეს მობილური აპლიკაციების და გეიმიფიკაციის გამოყენებაზე დაფუძნებული სწავლების ინდივიდუალური სტრატეგია, იმსჯელეს გეიმიფიცირებული საკლასო აქტივობების შექმნაზე და მობილური

მოწყობილობების კლასში და კლასის გარეთ გამოყენების შესაძლებლობებზე სტუდენტების სწავლის გააქტიურების მიზნით.



სამუშაო პროცესი - პოსტერების ონლაინ შექმნა

ტრენინგის ბოლოს მონაწილეებმა წარმოადგინეს შესრულებული დავალებები და შეაფასეს სასწავლო კურსი.

კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები.

აღნიშნული ტრენინგები ტარდებოდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინოვაციების ცენტრის, პროფესორ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის (რომელიც, თავის მხრივ, PRINTeL პროექტის ინსტიტუციური განვითარების კონტექსტის გათვალისწინებით დაფუძნდა) და სტუ-ს პროფესიული განვითარების ცენტრის თანამშრომლობით.



ტრენინგის დასასრული